GEORGIAN LANDS IN THE REGIONS OF THE OTTOMAN EMPIRE

(SECOND HALF OF THE 16TH CENTURY-UNTIL 1878)

ისტორიული ქართული მიწა-წყალი ოსმალეთის იმპერიის დარაიონებაში

(XVI ს. II ნახევარი-1878 წლამდე)

ALEKSANDRE CHKHAIDZE
Doctor of History,
Researcher at the Batumi Technological Museum named after the Nobel Brothers,
Georgia, Batumi, 15 Marukhi Street. +995 577 00 38 41
Alekochkhaidze70@gmail.com
ORCID:0009-0007-8902-6002

Abstract

During the 16th century, at the height of its power, the Ottoman Empire succeeded in occupying parts of Georgia.

The socio-political organization of the medieval Ottoman Empire was based on a military-feudal system. This system was integrated with the administrative-territorial structure of the empire.This paper presents a general explanation of the military-feudal regime, based on the knowledge of a British subject, Ryko (17th century), who studied the system in the Ottoman Empire.

By the end of the 16th and the beginning of the 17th centuries, there is no comprehensive data on the number of provinces and dominions within the Ottoman Empire, nor on their borders and periods of existence. Our study provides a source in which several Ottoman provinces are listed for the second half of the 16th century and early 17th century, up to the year 1609. Among them were also historical Georgian territories. Not all dates are precisely defined.

Historical southwestern Georgia was incorporated into four Ottoman eyalets: Childir and Trabzon (entirely), and Erzurum and Kars (partially). This paper outlines how the Georgian lands were divided into sanjaks (districts) within these eyalets.

We also aim to clarify why the Acharistskali River basin does not appear in the 1595 "Great Register of the Vilayet of Gurjistan," i.e., the Childir Eyalet, and to trace where this basin was administratively placed in the period leading up to the Russo-Ottoman War of 1877–1878.

The decree issued in 1595 by Sultan Mehmed III, ruler of the Ottoman Empire, addressed to the governor of Adjara, provides grounds for certain historical conclusions.

We attempt to clarify the timeline of the Ottoman conquest of Batumi and its surrounding territories, as well as the question of their subordination to the Trabzon Eyalet during the 15th–16th centuries. In addition, we investigate which administrative-territorial unit the Kobuleti district belonged to during the 18th and 19th centuries.

Keywords: Ottoman Empire, Georgia, administrative-territorial organization, eyalet, sanjak, Adjara.

ალექსანდრე ჩხაიძე

ისტორიის დოქტორი,
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველო,
ქ. ბათუმი, მარუხის ქუჩა № 15. +995 577 00 38 41
Alekochkhaidze70@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-8902-6002

აბსტრაქტი

XVI საუკუნის განმავლობაში, როდესაც ოსმალეთის იმპერია თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა შესძლო საქართველოს დაკავებაც.

შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას სამხედრო-ლენური სისტემა წარმოადგენდა. იგი შეთავსებული იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან. წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია ამ სისტემის მცოდნეს, ოსმალეთში ბრიტანელი ქვეშევრდომის რიკოს(XVII ს.) ზოგადი განმარტება სამხედრო-ლენური რეჟიმის არსის შესახებ.

XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისისათვის არ არსებობს ოსმალეთის იმპერიის პროვინციების და დომინიონების რაოდენობის, აგრეთვე საზღვრებისა და არსებობის თარიღების შესახებ სრულყოფილი მონაცემები. ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია წყარო, რომელშიც XVI ს. მეორე ნახევარსა და XVII ს. დასაწყისისათვის, 1609 წლამდე ჩამოთვლილია ოსმალეთის რიგი პროვინციები. იქ მდებარეობდა ისტორიული ქართული მიწა-წყალიც. ყველა თარიღი დაზუსტებული არაა.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიის ოთხ ეიალეთში მოხვდა: ჩილდირისა და ტრაბზონში (მთლიანად) და ერზრუმსა და ყარსში (ნაწილობრივ). წინამდებარე ნაშრომში მოყვანილია აღნიშნული ეიალეთებში ქართული ტერიტორიების სანჯაყებად დაყოფა.

ვცდილობთ დავაზუსტოთ თუ რატომ არ არის აჭარისწყლის აუზი 1595 წ. შედგენილ ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ე.ი. ჩილდირის ეიალეთში. ასევე სად იყო გაერთიანებული ეს აუზი მომდევნო პერიოდში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე.

ოსმალეთის იმპერიის მბრძანებლის მეჰმედ III 1595 წლის ბრძანება აჭარის მმართველის მიმართ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ვცდილობთ გავარკვიოთ ბათუმის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ოსმალთა მიერ დაპყრობის თარიღი და ამ ტერიტორიების ტრაბზონისადმი დამორჩილების საკითხი (XV-XVI სს.). ასევე რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში იყო გაერთიანებული ქობულეთის რაიონი XVIII-XIX საუკუნეებში.

საკვანძო სიტყვები: ოსმალეთის იმპერია, საქართველო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ეიალეთი, სანჯაყი, აჭარა.

შესავალი

წარსულში ერთიანი თუ დაქუცმაცებული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გარკვევა ისტორიკოსთა კვლევის შემადგენელი ნაწილია. ცხადია ეს კვლევა ვრცელდება იმ პერიოდებზე და ტერიტორიებზე, როცა ჩვენი ქვეყანა ან მისი რომელიმე ნაწილი ოკუპირებული იყო.

XVI ს. განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაკავებას თან სდევდა ახალი ადმინისტრაციული ცვლილებანი, ოსმალო მოხელეებისა და სამხედროთა ჩაყენება, მოსახლეობისა და ქონების აღწერა, საერთოდ ახალი წესრიგის დამყარება.

ოსმალთა ბატონობის პერიოდი სამხრეთ-საქართველოს ტერიტორიებზე ნაკლებადაა შესწავლილი. თითოეული ახალი საბუთი მკვლევართა ინტერესს იწვევს.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად ცნობილია ჩილდირის ეიალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. სამაგიეროდ მეტ შრომას მოითხოვს ტრაპიზონის, ერზრუმისა და ყარსის ეიალეთებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული საკითხის კვლევა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სულთან მეჰმედ III(1595-1603 წწ.) ბრძანება აჭარის ბეგლარბეგისადმი. გარდა ამისა ვასკვნით, რომ 1590 წლის სტამბოლის ზავის შემდეგ 1609 წლამდე აჭარისწყლის აუზი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უნდა ყოფილიყო. შემდეგ(XVII ს.) ის იყო ჩილდირის და ყარსის ეიალეთების, XVIII ს. ჩილდირის და XIX საუკუნეში, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მომხდარი გადანაწილების შედეგად ყარსის (ანუ ყარს-ჩილდირის) ეიალეთის შემადგენლობაში ასეთი ეიალეთი. 1844 წლიდან-1878 წლამდე კი ტრაპიზონის ეიალეთის შემადგენლობაში.

ვფიქრობთ, ქობულეთის რაიონი, ისევე როგორც მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, 1723 წლიდან ტრაბზონის ეიალეთში იყო გაერთიანებული.

მეთოდები

ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის სრულყოფილად შესწავლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის საკითხი. სხვადასხვა წყაროების ერთმანეთთან შეჯერებით (შედარების მეთოდით) ვცდილობთ მეტი სიცხადე შევიტანოთ კვლევისათვის აუცილებელ ამ კომპონენტში, მივიდეთ ლოგიკურ დასკვნებამდე.

შედეგები

ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელშიც ნაშრომის მიზანია მოქცეული, საკმაოდ ვრცელია, საკითხი ტევადი. კვლევის შედეგად ნაწილობრივ დგინდება მონაცემები XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეიალეთების შესახებ, რომელიც გამქრალია 1609 წლამდე. ასევე დგინდება გარკვეული მონაცემები 1609 წელს დაფიქსირებულ, ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში გაბნეული ქართული მხარეების შესახებ და მათი ჩართულობა შემდგომ პერიოდში სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ინტერესს იწვევს სულთან მეჰმედ III (1595-1603წწ.) ფრთხილი დამოკიდებულება აჭარის ბეგლარბეგისადმი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიისადმი. ცნობილია, რომ პორტა XIX ს. შუა წლებამდე ვერ ავრცელებდა თავის სრულყოფილ ძალაუფლებას ამ რეგიონში.

მსჯელობა

XIV საუკუნეში დაიწყო მცირე აზიაში თავმოყრილი და ცალკეულ ბეილიქებში (ფეოდალურ სამთავროებში) გაფანტული თურქული ტომების გაერთიანება, ერთ სახელმწიფოში მოქცევა. პროცესი წარმატებით განვითარდა. 1453 წელს აიღეს კონსტანტინეპოლი და მათ სახელმწიფოს ეწოდა ოსმალეთის ანუ ოტომანთა იმპერია. ოსმალების კარგი სამხედრო ორგანიზაციის წყალობით საუკუნეების განმავლობაში ერთიან მმართველობაში ხვდებოდა ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები. იმპერია სამი კონტინენტის ტერიტორიებზე გადაიჭიმა. მათ შორის ბალკანეთზე, ჩრდილოეთ აფრიკაში, ლევანტზე, ამიერკავკასიაზე და ა. შ. მისი ძლიერების მწვერვალი XVI საუკუნეზე მოდის. ცხადია, თავისი დროის უზარმაზარ ქვეყანას თავისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა გააჩნდა.

ოტომანთა იმპერიაში, თავისი არსებობის მანძილზე, არსებობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორი ეპოქა. აქედან პირველი მოხდა ამ ქვეყნის ჩამოყალიბებასთან ერთად, მეორე კი დააკანონეს XIX ს. 60-იანი წლებიდან (როცა მიმდინერეობდა თანზიმათის ანუ რეფორმების პროცესი).

ოსმალეთის იმპერიის ფეოდალური ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციას წარმოადგენდა სამხედრო-ლენური სისტემა. იგი შეთავსებული იყო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან. ქვეყანა დაყოფილი იყო ეიალეთებად. ისენი თავის მხრივ სანჯაყებად, სანჯაყები კი ყაზებად. სამხედრო-ლენური სისტემის არსს კარგად გადმოგვცემს სულთან მუჰამედ (თურქულ წყაროებში მეჰმედად იხსენიება) IV-ის (1648-1687) კარზე მყოფი ბრიტანეთის საელჩოს მდივანი რიკო. კერძოდ, მიწები სულთნის საკუთრებას წარმოადგენდა. ის დაყოფილი იყო სამხედრო ფენის წარმო-მადგენლებს შორის. ამ მიწების ჩამორთმევა სულთნის ნებით ხდებოდა. ეიალეთებს ბეგლარ-ბეგები მართავდნენ. ისინი ცხოვრობდნენ თავიანთი სამმართველოების ადგილების შემოსავლებით. ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ ზოგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მმართველებად ინიშნებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ან უკვე თანამ-დებობაზე მყოფნი თავიანთ სამფლობელოს შთამომავლობით გადასცემდნენ (ასე ხდებოდა სამცხე-საათაბაგოში), ზოგ ქურთულ პროვინციაში). რიკოს მიხედვით სანჯაყის მმართველები ანუ სანჯაყ-ბეგები ცხოვრობდნენ სანჯაყში შემავალი სამფლობელოთა შემოსავლიდან. თიმარი იყო საკარგავი, რომლის შემოსავალი წელიწადში შეადგენდა 5 ათასიდან 19. 999 ახჩამდე, ზიამეთის შემოსავალი შეადგენდა 20 ათასიდან 99.000 აღჩამდე, სანჯაყის 100.000 დან 199.999 ახჩამდე, ბეგლარბეგებისა კი 200.000 აღჩამდე და მეტს. სამხედრო მდგომარეობის დროს თიმარს 3 ათას ახჩა შემოსავალზე უნდა გამოეყვანა 1 ჯარისკაცი, ზიამეთს და სანჯაყ ბეგს 5 ათას აღჩაზე 1 ჯარისკაცი (საქართველოს სცსა, ფონდი 231, საქმე, 99, ფურც. 6).

გარდა სახელმწიფო მიწებისა ანუ ლენებისა ოსმალეთის იმპერიაში იყო სავაყუფო (იგივე მუსლიმური რელიგიის), სასულთნო (ხასე) და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების კატეგორიები. სამხედრო-ლენური სისტემა ოფიციალურად 1834 წელს გაუქმდა. მაგრამ საუკუნეების

განმავლობაში ფესვგადგმული სისტემის რეფორმების გზით ლიკვიდაცია არ იყო იოლი პრობლემა. მისი ამოძირკვა ეტაპობრივად მოხდა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს საფუძვლად დაედოთ ტერიტორიული ნიშანი. ხოლო ახალი მოწყობა კი, როგორც აღვნიშნეთ, XIX ს. 60-იანი წლებში მოხდა.

პერიოდისთვის, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ყოველთვის არ არის საკმარისი წყაროები, რომ დადგინდეს ოტომანთა იმპერიის პროვინციებისა და დომინიონების ზუსტი რაოდენობა, საზღვრები და არსებობის თარიღები. მითუმეტეს, რომ მათი რაოდენობა და საზღვრები იცვლებოდნენ. მათი დადგენა პრობლემაა თვით თურქი ისტორიკოსებისათვის (peter f. Sugar, 1977:41).

1578-1590 წწ. მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის მორიგი ომი. იგი დასრულდა 1590 წლის სტამბოლის ზავით. მისი პირობებით ამიერკავკასია ოსმალეთის საზღვრებში მოექცა. დაკავებულ ტერიტორიებზე, რომლის ხალხებს სულთანი იარაღის ძალით ინარჩუნებდა, ახალი ადმინისტრაციული რეჟიმი იქმნებოდა.

ადვილად ხელმისაწვდომი, ოფიციალურად წარმოდგენილი XVI ს. მეორე ნახევრისა და XVII ს. დასაწყისის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მონაცემები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს ინტერესს. საყურადღებოა დონალდ ედგარ პიტჩერის ფუნდამენტური კვლევა „ოტომანთა იმპერიის ისტორიული გეოგრაფია“. ნაშრომში გამოქვეყნებული მონაცემები რამდენადმე აფართოებს წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. საქმე ეხება XVI ს. მეორე ნახევარში შექმნილ ეიალეთებს. აქ ზოგან კითხვის ნიშნებს ვხედავთ, რაც მხოლოდ წყაროების მიუწვდომლობით თუ აიხსნება.

წარმოდგენილ სიაში აღნუსხულია სხვადასხვა ეიალეთები. ჩვენ ცხადია გამოვყოფთ კავკასიასა და კერძოდ საქართველოს. ეს ეიალეთები თვითონ წყაროში მოცემული მონაცემით 1609 წლამდეა გამქრალი:

პროვინციათა სახელწოდება	თურქ ოტომანთა სახელწოდება და ტრანსლიტერაცია (თანამედროვე თურქულზე)	არსებობდა	
აფხაზეთი	აბჰაზია	? წლები (1578-?)	ასევე ეწოდებოდა სუხუმ (სოხუმკალე) ან საქართველო (გურჯისტანი) და მოიცავდა სამეგრელოს და იმერეთს ნომინალური კონტროლით
ახალციხე	ახისხა	? წლები (1603-?)	სამცხესთან ანუ ჩილდირთან ერთად ან ცალკე
დმანისი	თუმანის	? წლები (1584-?)	

გორი	გორი	? წლები (1588-?)	შესაძლოა 1586 წლის შემდეგ შეცვალა თბილისის ეიალეთი
კახეთი	ქაჰეთი	? წლები (1578-?)	კახეთის მეფედ დაინიშნა მემკვიდრეობითი ბეი
ლაზისტანი		? წლები (1574-?)	
ლორი	ლორი	? წლები (1584-?)	
ფოთი	ფაშ	? წლები (1579-?)	შესაძლოა სხვა სახელწოდება ჰქონდა
თბილისი	თიფლისი	8 წელი (1578-1586)	შესაძლოა შეიცვალა გორის ეიალეთით 1586 წ.

(Pitcher D. E. 1972:128-129)

XVII საუკუნის დასწყისიდან, კონკრეტულად 1609 წლიდან უკვე არსებობს ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა დაარსებისა და გაუქმების უფრო ზუსტი მონაცემები. ისინი სხვადასხვა ნაშრომში, მათ შორის დ. ე. პიტჩერის აღნიშნულ წიგნშია გადმოცემული.

ჩვენთვის საინტერესოა ოთხი პროვინცია: ჩილდირის ანუ ახალციხის, ტრებიზონდის (თურქები მას უწოდებენ ტრაბზონს), ერზრუმის და ყარსის. აღვნიშნავთ, რომ ოთხივე ეიალეთის ფაშებს შორის ერზრუმის ფაშა პირველობდა, ომის დროს ის აქ ასრულებდა სერასკირის ანუ მთავარსარდლის ფუნქციას.

ჩილდირის ეიალეთის დაარსდა ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. იგი არსებობდა 1578-1845 წლებში. მის ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ: ჩილდირი1578-1628 წლებში, ახისხა(ახალციხე) 1628-1829 წლებში და ოლთუ(ოლთისი) 1829-1845 წლებში (https://en.wikipedia.org>wiki>Childir Eyalet). იმ დროს ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა დაპყრობილი ქვეყნებიდან მიღებული შემოსავალი. ამიტომ ოსმალო მოხელეები ახდენდნენ დაკავებული ტერიტორიების აღწერას (შესაბამისი დავთრები სამცხე-საათაბაგოში ჯერ კიდევ XVI საუკუნის 70-იან წლებში შედგა).

1595 წ. შედგა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. „გურჯისტანის ვილაიეთი“ იგივე „ჩილდირის ეიალეთია“ ანუ „ახალციხის საფაშოა“. ეს საბუთიც უპირველეს ყოვლისა ფისკალური მიზნითაა შედგენილი. იქედან ვგებულობთ, რომ აღნიშნული ეიალეთი 8 სანჯაყად (ანუ ლივად) დაყვეს. ესენია: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩალდირი, ფოცხოვი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. სანჯაყები კი ნაჰიებად(უფრო პატარა რაიონებად) დაყვეს. „ჩილდირის ეიალეთის“ ბეგლარბეგად ხიდირ ფაშა დანიშნეს. იგი ოსმალო მოხელეების საშუალებით მართავდა ქვეყანას. აღნიშნული დავთარი თარგმნა, კომენტარი დაურთო და გამოსცა ს. ჯიქიამ (ჯიქია, 1958). გარდა ამისა, „ჩილდირის ეიალეთი“ სხვა ეიალეთებზე უკეთაა შესწავლილი, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონაცემები ხელმისაწვდომ წიგნებშია გადმოცემული და ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

საინტერესოა, რომ ზემოდ ჩამოთვლილ სანჯაყებს შორის აჭარას ვერ ვნახულობთ. მაშინ „აჭარა“ გულისხმობდა აჭარისწყლის ხეობას. შევეცადოთ გავერკვიოთ რატომ არ მოხვდა ის აღნიშნულ სიაში.

ირან-ოსმალეთის ომის დროს, 1552 წელს აჭარის მაშინდელი ხელისუფალი იძულებული გახდა ეღიარებია ოსმალეთის მმართველობა. მაგრამ „იგი მხოლოდ ოსმალთა სუზერენიტეტის აღიარება უნდა ყოფილიყო“ (შაშიკაძე, 2020:148-149). მიუხედავად ამ აღიარებისა აჭარის მმართველი ბეჟანი დაუმორ-ჩილებლობას იჩენდა. ამიტომ ოსმალებმა მას რეგიონი 1561 წ. მას ჩამოართვეს და ისპირის (სპერის) სანჯაყს შეუერთეს. 1563 წელს ბეჟანი სტამბოლში ჩავიდა, მაჰმადის რჯული უღიარებია, მორჩილება გამოუცხადებია და შედეგად აჭარაც დაუბრუნეს როგორც ცალკე სანჯაყი ((შაშიკაძე, 2020: 150-151). „1576/7 წლით(984) დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ აჭარა გურჯისტანს ექვემდებარებოდა, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამ პერიოდში აჭარა დროებით გურჯისტანის ვილაიეთში (მაშინ ეიალეთს ზოგჯერ უწოდებდნენ ვილაიეთს-ა. ჩ.) იყო გაერთიანებული“(შაშიკაძე, 2020:152-153). 1584 წელს ქართველებმა შესძლეს აჭარის დაბრუნება, თუმცა 1586 წ. ჩილდირის ბეგლარბეგმა მიიღო ბრძანება რეგიონის კვლავ ჩილდირის ვილაეთში დაბრუნების შესახებ. ბრძანება ცოტა ხანში შესრულდა.

აჭარისწყლის ხეობაზე ოსმალთა ძალაუფლების დაბრუნების შემდეგ შესაძლოა ის ჩილდირის ეიალეთში არ გააერთიანეს და ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. იმ დროს ოსმალეთში მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო(სვანიძე, 1971:81). ამიტომ ის არ არის აღნიშნული 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. თუმცა, ამასთან ერთად, სავარაუდოდ იგი ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის მმართველს, ერზრუმის ბეგლარბეგს (შაშიკაძე, 2002:152).

1595-1603 წწ ოსმალეთის იმპერიას მართავდა სულთანი(ფადიშაჰი) მეჰმედ III. 1595 წელს მან აჭარის ბეგლარბეგს ასეთი ბრძანება გამოუგზავნა:

„ბრძანება აჭარის ბეგლარბეგს:

სულთნის ტახტზე ასვლა იღბლიანად და წარმატებით განხორციელდა. ჩემი სურვილია ყველა მხარეში მთელი ხალხის კეთილდღეობაში, სიმშვიდეში და უსაფრთხოებაში ყოფნა. ამიტომ ვბრძანებ: როგორც კი ეს განკარგულება შენამდე მოაღწევს, მთელი ჩემი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და მუსლიმებისგან დალოცვის მისაღებად მეტი გულისხმიერება უნდა გამოიჩინო. რაც შეეხება არამუსლიმებს, ისინიც ჩვენი შემოქმედის დანატოვარია. არავითარ შემთხვევაში არ მოექცე მათ დესპოტურად და უსამართლოდ. იღვაწე მათი უსაფრთხოების და საქმეების ჩვეულ კალაპოტში ჩასაყენებლად, სიმონთან, სადადიანოს, იმერეთის, გურიის და სხვა მოსაზღვრე მთავრებთან კარგი ურთიერთობები დაამყარე. სავალდებულო გადასახადების და სხვა მსგავს საკითხებზე ჯაფერ ფაშასთან ითათბირე, ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე და ვილაიეთის მთელი არამუსლიმი და მუსლიმი ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის იზრუნე, გადასახადების კეთილსინდისიერად შეგროვებაზე უკან არ დაიხიო. ჯაშუშებისა და მიმსვლელ-მომსვლელების საშუალებით მუდმივად მიიღე ინფორმაცია მთავრების ქცევასა და საქმიანობაზე, არიან თუ არა ადგილზე. ამის მიხედვით მიიღებ ზომებსადა დაიჭერ თადარიგს.

თუკი ვითარებიდან გამომდინარე საჭირო იქნება ჩემთვის მომართვა, ნუ მოგერიდება. მიღებული ბრძანებები როგორც წესია, ისე შეასრულე

1003 წლის 28 შევალი / 1595 წლის 6 ივლისი“ (ილდიზთაში, 2012:25).

ბრძანებიდან ჩანს, რომ აჭარის მმართველს ბეგლარბეგის თანამდებობა ჰქონია. ბეგლარ-ბეგები კი ეიალეთების მმართველები იყვნენ. გარდა ამისა, აჭარის ბეგლარბეგს ავალებენ: „ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე“. ვფიქრობთ, აჭარა ეიალეთი არ იქნებოდა, თუმცა ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უნდა ყოფილიყო. ბეგლარბეგს ავალებენ ეზრუნა ვილაიეთის მოსახლეობაზე. აგრეთვე, მასზე დაქვემდებარებულ არამუსლიმებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა, გაეძლიერებინა საჯაშუშო ჯაშუშთა ინსტიტუტი. ეს კი ნიშნავდა თუ როგორ ფრთხილობდნენ ამ სასაზღვრო, დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილი, რაიონის მიმართ.

1609 წლიდან აჭარისწყლის აუზი ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაშია (შაშიკაძე, 2002: 152). „XVII ს. ახალციხის საფაშო 13 სანჯაყისგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი(ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფი-ლივანა და შავშეთი“(ჯამბურია,1973:55). თუმცა უცხოური წყარო ახალციხის ანუ ჩილდირის დასახელებული 13 სანჯაყიდან იმეორებს 12 და გამოტოვებული აქვს აჭარის სანჯაყი(https://en.wikipedia.org>wiki>Childir Eyalet). შესაძლოა იმიტომ, რომ „1631-1632 წლის... მიხედვით ზემო და ქვემო აჭარის ლივა... ყარსისადმია დაქვემდებარებული.“ (შაშიკაძე,2002:152). აღნიშნულ უცხოურ წყაროში 1682 წლიდან საუკუნის ბოლომდე და XVIII საუკუნეში (1740 წლამდე) აჭარა კვლავ სანჯაყია ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში“ (https://en.wikipedia.org>wiki>Childir Eyalet). ის აქვე უნდა ყოფილიყო შემდეგაც.

1828-1829 წწ. მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის დასრულდა რუსეთის გამარჯვებით. შედეგად, სხვა მიღწევებს შორის, რუსეთს ერგო ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის დიდი ნაწილი. ახალციხის 16 სანჯაყი, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში დარჩა, შეუერთეს ძირითადად ყარსის და შემდეგ აგრეთვე ერზრუმისა და ტრაპიზონის საფაშოებს. ამ საფაშოს პირველ ხანებში ეწოდებოდა ყარს-ჩილდირის საფაშო“ (ლომსაძე, 1975:248).

ტრაპიზონის ეიალეთი არსებობდა1598-1867 წლებში. მის ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი ტრაბზონი (ტრაპიზონი) წარმოადგენდა (https://en.wikipedia.org>wiki>Trebizond Eyalet).

მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონი. კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ლაზებით, ჭანებით ანუ უძველესი ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორიაა. მისი საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1204-1461 წლებში იქ არსებობდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოერ შექმნილი ტრაპიზონის იმპერია. 1456 წელს ამ ქვეყანაში თურქ-ოსმალები შეიჭრნენ და იქაური მოსახლეობა დახარკეს. 1461 წელს კი სულთანმა მეჰმედ II დაიპყრო და ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციად აქციად. 1598 წელს იგი ცალკე ეიალეთად გამოყვეს.

ტრაპიზონის სანჯაყებად დაყოფის შესახებ შემდეგი მონაცემები არსებობს:

მე-17 საუკუნეში	1732-1740 წლებში	მე-19 ს. დასაწყისი
1. გიუმიშჰანეს სანჯაყი	1. ტრაბიზონის სანჯაყი	1. ტრაბიზონის სანჯაყი
2. ჯანიქის სანჯაყი	2. გონიეს სანჯაყი	2. გირესუნის სანჯაყი
3. ვიწეს სანჯაყი	3. ბათუმის სანჯაყი	3. ლაზისტანის სანჯაყი
4. გონიოს სანჯაყი		
5. ბათუმის სანჯაყი		

(იქვე).

ამ სიიდან ყოფილი გონიოს და ბათუმის სანჯაყები დღეს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ვიწეს სანჯაყი აღმოსავლეთ ჭანეთის ტერიტორიაა (სახელწოდება ვიწე არის დღევანდელი რიზე). მის დასავლეთით მდებარეობდა ჯანიქის სანჯაყი (სახელ-წოდება ჯანიქი ქართულად გულისხმობს ჭანეთს).

მე-19 საუკუნის დასაწყისის ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყებად დაყოფა გვახსენებს ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს. კერძოდ, აღმოსავლეთით ლაზისტანი, ცენტრში ტრაპიზონი და დასავლეთით კერასუნტი.

ერზრუმის ეიალეთი არსებობდა 1533-1864 წლებში. მის ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი ერზრუმი წარმოადგენდა. იქ იმყოფებოდა ფაშის რეზიდენცია. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მე-17 საუკუნეში ეს ეიალეთი 12 სანჯაყისგან შედგებოდა (https://en.wikipedia.org>wiki>Erzurum Eyalet). აქ გამოვყოფთ სამ ქართულ რეგიონს: ისპირის (ქართული სახელწოდებაა სპერი), თორთუმის (ქართული სახელწოდებაა თორთომის) და ფასინის(ქართული სახელწოდებაა ფასინლერი, ბასიანი) სანჯაყები.

სპერის მოსახლეობა უძველესი პერიოდიდან ქართული ეთნიკური წრის ნაწილი იყო. იქედან არიან წარმოშობით საქართველოს სამეფოს დინასტიის წარმომადგენლები-ბაგრა-ტიონები.

თორთომი არის ძირძველი ქართული კუთხის, მდინარის, ციხის და პროვინციის სახელი. იგი ასევე ძირძველი ქართული რეგიონის ტაოს ნაწილს შეადგენდა.

ბასიანი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციაა. მისი სახელი დაკავშირებულია ფასიანების კოლხურ ტომთან. ეს ტომი ქსენოფონტესთანაა მოხსენიებული (მუსხელიშვილი, 1977:219). რაღაც პერიოდი ბასიანი საქართველოს საზღვრებში არ შემო-დიოდა. შემდეგ კი აქ დაიმკვიდრა ადგილი. 1545 წ. ის ოსმალებმა დაიპყრეს.

როგორც აღვნიშნეთ წარმოდგენილი დაყოფა ეხება მე-17 საუკუნეს, მაგრამ 1682 წლამდე პერიოდს. 1682-1702 წლებში კი არსებობს მოცემული ეიალეთის სანჯაყებად სხვანაირი დაყო-ფა. კერძოდ, ამ პერიოდში წარმოდგენილია 17 სანჯაყი. აქაც ვნახულობთ სამ ძირძველი ქარ-თული ტერიტორიის ოსმალურ დარაიონებას: ფასინი, თორთუმი და ისპირი. მაგრამ ამას ემატება კიდევ ერთი ძირძველი ქართული კუთხე, ესაა ნამერვანის სანჯაყი (https://en.wikipedia.org>wiki>Erzurum Eyalet).

რადგან ერზრუმის ეიალეთის ტერიტორია ქართველ ტომთა უძველეს საცხოვრისს ემთხვევა, ამიტომ იქ, გარდა აღნიშნული სამი სანჯაყისა ქართველთა ისტორიული დასახლებები სხვაგანაც მოინახება.

მე-19 ს. დასაწყისისათვის ერზრუმის ეიალეთში მხოლოდ ექვსი სანჯაყია რეგისტრირებული. აქ ქართულის მიმსგავსებული სახელწოდებები არ არის. ქართული რაიონები კი სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშია გაბნეული. ამასთან დამატებულია გიუმიშჰანეს სანჯაყი-ისტორიული ჭანეთის ქვეყანა.

ყარსი ეიალეთი არსებობდა1580-1845 წლებში. ოფიციალური ცნობით მე-17 საუკუნეში აქ რეგისტრირებულია ექვსი სანჯაყი (https://tr.wikipedia.org>wiki>k… Kars (eyalet)-Vikipedi). მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა სამი: 1.გოლეს(ქართულად კოლას), იგივე მცირე არტაანის, 2. ჰუჟუჟანის იგივე ჩილდირის, 3.ზარშადის, იგივე არფაჩაის (ქართულად წინუბანის) სანჯაყები.

კოლა ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში. მისი სახელი წარმოდგება უძველესი ქართული სამეფოს კოლხასაგან. იგი ძირითადად ქართული ეთნოსით იყო დასახლებული. რაღაც პერიოდებში ის სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. XVI საუკუნიდან ოსმალეთმა მიიტაცა.

ჰუჟუჟანის ანუ ჩილდირის სანჯაყი მდებარეობდა ჩილდირის ტბის რაიონში.

ზარშადის, იგივე არფანჩაის (ქართულად წინუბანის) სანჯაყი მდებარეობდა ჰუჟუჟანის მოსაზღვრედ, სამხრეთით. ისიც ნაწილობრივ მდინარე ჩილდირს მოიცავდა და ასევე ისტორიულ ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

ზარშადის სამხრეთით მდებარე ყარსის სანჯაყში არსებობდა ყარსის ეიალეთის რეზიდენცია.

ამგვარად, ოსმალებმა დაპყრობის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოთხ ეიალეთში გააერთიანეს. მათ შორის ჩილდირის (ახალციხის) და ტრაბზონის ეიალეთები ძირძველი ქართული ტერიტორიებია, ხოლო ყარსისა და ერზრუმის ნაწილობრივ.

ბათუმის შესახებ ოსმალური წყარო გვამცნობს, რომ „სულთან მეჰმედ ფათიჰმა ტრაპიზონის აღების (1461 წ.-ა.ჩ.) შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მარბიელი ლაშქარი გაუშვა და ბათუმი და მისი შემოგარენი დაიპყრო“(ილდიზთაში,2012:22). ზემოდ (თ) სიაში აღნიშნულია, რომ 1574 წელს დაარსდა ლაზისტანის პროვინცია. ამასთან, იმავე წყაროში, ოდნავ ქვემოთ, ტრაპიზონი და ლაზისტანი გვერდიგვერდაა აღნიშნული და რომ ეს (ტრაპიზონის და ლაზისტანის) სანჯაყი არსებობდა 1461-1864 წლებში (https://en. wikipedia.org>wiki>Eyalet). შესაძლოა, რომ აქ ტრაპიზონი და ლაზისტანის გაიგიავებული იყოს. რაც შეეხება ბათუმს „(1582 წ.) ოსმალებმა ტრაპიზონს ბათუმის სანჯაყი დაუქვემდებარეს“(სვანიძე, 1971:154). სავარაუდოდ XVII ს. დასაწყისში ერთი პერიოდი ბათუმი გურიის სამთავროში შედიოდა ან ამ პერიდში ოსმალთა კონტროლი მასზე შესუსტებულა(უზუნაძე, სურმანიძე, ზოსიძე, 2013:29).

თანამედროვე აჭარის ა. რ. ზღვისპირა ტერიტორიაზე ოსმალებმა ნომინალური მმართველობა XVIII საუკუნიდან გაამკაცრეს. „1702 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გაერთიანდნენ აჯანყების დასაწყებად“(სვანიძე, 2009:237). საბოლოოდ ოსმალებმა იმარჯვეს.

1712 წელს ბათუმისა და ჩაქვის მიდამოები ტრაპიზონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააერთიანეს. შემდეგ ჩრდილოეთითაც დაიწყეს ექსპანსია და რეჟიმის გამკაცრება. „1723 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველი ზღვას მოსწყვიტეს. ციხისძირის, ქობულეთის, გრიგოლეთის და ანაკლიის ციხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს“(სვანიძე, 2009:238). ქობულეთი, როგორც ბუნებრივი გაგრძელება ტრაპიზონის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. უმეტეს შემთხვევაში ქობულეთის ანუ ჩურუქ-სუს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული XIX ს. 60-70-იან წლებში მოქცეული იყო ტრაპიზონის ვიალაიეთის შემადგენლობაში 1878 წლამდე*.

უკვე აღვნიშნეთ ვარაუდი, რომ XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ მესამედში აჭარისწყლის აუზი ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული. 1829 წ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ადრიანოპოლის ზავის მიხედვით რუსეთს გადაეცა ოსმალეთის ტერიტორიები. მათ შორის ქალაქები: ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. ასევე სანჯაყები: ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი და ჭაჭარაქი. აჭარისწყლის აუზი ოსმალეთის ეიალეთის შემადგენლობაში დარჩა. რადგან ჩილდირის ეიალეთის ნაწილი რუსეთს ერგო, ამ ეიალეთის ოსმალეთში დარჩენილი ნაწილები სხვა ეიალეთებს შეუერთეს. ჩვენს ინტერესს იწვევს სად მოხვდა და შემდეგში სად მდებარეობდა აჭარისწყლის აუზი. მივმართოთ ფაქტებს. გიორგი ყაზბეგის გადმოცემით აჭარის გამოჩენილი საგვარეულოს წარმომადგენელი, ჩილდირის ეიალეთის ბოლო ფაშა ახმედ ხიმშიაშვილი ომის შემდეგ ყარსის (ყარს-ჩილდირის) ფაშა გამხდარა (ყაზბეგი,1995:68). გ. ყაზბეგი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ ქორ ჰუსეინ ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც სავარაუდოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში ეწინააღმდეგებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ყარსის ფაშას გამოგზავნილი სამხედ-როების საშუალებით დაატყვევს და ყარსში გაგზავნეს (ყაზბეგი,1995:69). 1844 წ. 30 მარტის საბუთის მიხედვით აჭარაში გადასახადებისა და რეკრუტის შეკრება ყარსის ფაშას ევალა(საქართველოს სცსა, ფონდი 16, საქმე 8085, ფურც. 10-11). იმავე წლის 5 მაისის საბუთით კი სულთნის ბრძანე-ბით აჭარა შეუერთდა ტრაბზონის საფაშოს (სცსსა, ფურც. 35). ასევე 1844 წ. 8 სექტემბრის საბუთით გადასახადებისა და რეკრუტის საკითხს აჭარაში ტრაბზონის ფაშა განაგებდა (სცსსა, ფურც. 36). ზემოთქმულიდან გამომდინარე აჭარისწყლის აუზი 1829 წლიდან 1844 წლამდე ყარსის (ყარს-ჩილდირის) ეიალეთში მდებარეობდა. 1844 წლიდან 1878 წლამდე (რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებამდე) ტრაპიზონის ეიალეთის (1867 წლიდან მას ეწოდებოდა ტრაპიზონის ვილაიეთი) შემადგენლობაში.

დასკვნები

ოსმალთა იმპერიის მიერ საქართველოში ხანგრძლივი დროის მანძილზე (XVI-XVIII სს.) განხორციელებულ მცოცავი ანექსიის პროცესს თან სდევდა ახალი რეჟიმის დამყარების მცდელობა. მისი მეტ-ნაკლებად შესრულება გარკვეულ ტერიტორიებზე მოხერხდა.

ოტომანთა იმპერიის სოციალ-პოლიტიკური სისტემა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას არ უწყობდა ხელს. თუმცა, უხეში ძალის ხანგრძლივ ბატონობას თავისი გაჰქონდა და თანდათან ხდებოდა ქართული მიწების იმპერიაში ინტეგრირება.

ობიექტური მიზეზების გამო XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დასაწყისში 1609 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ოსმალთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე არასრულყოფილი მონაცემები გაგვაჩნია. 1609 წლიდან ეს მონაცემები შედარებით ზუსტდება.

ჩვენს ხელთაა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განაწილება ოტომანთა იმპერიის მოწყობაში(ჩილდირის, ტრაბზონის, ერზრუმისა და ყარსის ეიალეთებში). იგი შესაძლოა გარკვეულწილად იცვლებოდეს.

XVI ს. მეორე ნახევრის განმავლობაში თანდათან აჭარისწყლის აუზი ოსმალთა იმპერიის ორბიტაში მოექცა. ეტყობა ის ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა ერზრუმის ბეგლარბეგის დაქვემდებარებაში. უმაღლესი ხელისუფლება აჭარის მმართველისგან ითხოვდა ფრთხილ და კარგად მოფიქრებული პოლიტიკის გატარებას. შემდეგ პერიოდში ეს ერთეული სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში იყო გაერთიანებული.

თანამედროვე აჭარის ზღვისპირა რაიონი, რომლის ტერიტორია დამპყრობელმა სხვადასხვა დროს დაიკავა ტრაბზონის ეიალეთში (შემდეგ ვილაიეთში) იყო მოქცეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

ილდიზთაში, მ. (2012). *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში* (გელა გუნიავას ქართულ თარგმანი). სტამბოლი.

ლომსაძე, შ. (1975). *სამცხე-ჯავახეთი(XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე),* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მუსხელიშვილი, დ. (1977). *ბასიანი,* ქსე. ტ.2. თბილისი.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 16, საქმე 8085.

სცსსა, ფონდი 231, საქმე 99.

სვანიძე, მ. (2009). სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* აჭარა, II, ბათუმი: გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

სვანიძე, მ. (1971). *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

უზუნაძე, რ. სურმანიძე, რ. ზოსიძე, ნ. (2013). ბათუმი, *ისტორია და თანამედროვეობა,* თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.

ყაზბეგი, გ. (1995). *სამი თვე თურქეთის საქართველოში,* ბათუმი: გამომცემლობა

„აჭარა“.

შაშიკაძე, ზ. (2002). *ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან,* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი: ბსუ კრებული

ჯამბურია, გ. (1973). საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში(60-90-იან წლები), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ.IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ჯიქია, ს. (1958). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი,* თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“.

https://en.wikipedia. Org>wiki>Childir Eyalet

https://en.wikipedia. Org>wiki>Erzurum Eyalet

https://en.wikipedia.org>wiki>Eyalet

https://en.wikipedia. Org>wiki>Trebizond Eyalet

https://tr.wikipedia. Org>wiki>K… Kars (eyelet)-vikipedi

Peter F. Sugar(1977). Southeastern Europe Under Ottoman Rule: 1354-1804. University of Washington press p.41. https://en.wikipedia.org>wiki>Administrative division…

Pitcher D. E. (1972). An Historical Geography of the Ottoman Empire: From Earliest Times to the Sixteenth Century Brill Archive pp. 128-129. https://en. Wikipedia. Org>wiki> Eyalet

REFERENCES

ildiztashi, m. (2012). sakartvelo da kartvelebi osmalur saarkivo dok'u ment'ebshi [*Georgia and Georgians in Ottoman Archival Documents*]. st'ambolilomsadze, sh. (1975). samtskhe-javakheti(XVIII sauk'unis shuats'lebidan XIX sauk'unis shua ts'lebamde) [*Samtskhe-Javakheti (from mid-18th to mid-19th centuries)*]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

muskhelishvili, d. (1977). basiani, kse. t'.2.[*Basiani*, Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 2]. tbilisi.

sakartvelos sakhelmts'ipo tsent'raluri saist'orio arkivi (stsssa), pondi 16, sakme 8085. [Georgian State Central Historical Archive (GSCHA), Fund 16, File 8085].

stsssa, pondi 231, sakme 99 [GSCHA, Fund 231, File 99].

svanidze, m. (2009). samtskhe-saatabagosa da ach'aris mit'atseba osmalta mier, samkhret-dasavlet sakartvelos ist'oriis nark'vevebi, ach'ara, II, *[The Ottoman Conquest of Samtskhe-Saatabago and Adjara*, Studies in the History of Southwestern Georgia, Ajara, II] batumi: gamomtsemloba „shota rustavelis sakhelobis sakhelmts'ipo universit'et'i".

svanidze, m. (1971). sakartvelo-osmaletis urtiertobis ist'oriidan XVI-XVII [*From the History of Georgia-Ottoman Relations XVI-XVII centuries*]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba".

uzunadze, r. surmanidze, r. zosidze, n. (2013). batumi, ist'oria da tanamedroveoba [*Batumi: History and Modernity*]. tbilisi: gamomtsemloba „iverioni".

qazbegi, g. (1995). sami tve turketis sakartveloshi [*Three Months in Ottoman Georgia*]. batumi: gamomtsemloba „ach'ara".

shashik'adze, z. (2002). ori mnishvnelovani dok'ument'i XVI sauk'unis ach'aris ist'o riidan, batumis shota rustavelis sakhelobis sakhelmts'ipo universit'e-t'is memed abashidzis sakhelobis sametsniero-k'vleviti tsent'ri, k'rebuli III, batumi: bsu k'rebuli [Two Important Documents from the History of 16th Century Adjara, Batumi: Shota Rustaveli State University, Memed Abashidze Research Center, Collection III].

jamburia, g. (1973). sakartvelos gaertianebis tsdebi. peodaluri anarkia da- savlet sakartveloshi(60-90-ian ts'lebi), sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'.IV, [Attempts to Unite Georgia. Feudal Anarchy in Western Georgia (60-90s), Studies in the History of Georgia, Vol. IV,]. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo".

jikia, s. (1958). gurjist'anis vilaietis didi davtari, [*The Great Register of the Vilayet of Guria].* tbilisi: gamomtsemloba „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademia".

https://en.wikipedia. Org>wiki>Childir Eyalet

https://en.wikipedia. Org>wiki>Erzurum Eyalet

https://en.wikipedia.org>wiki>Eyalet

https://en.wikipedia. Org>wiki>Trebizond Eyalet

https://tr.wikipedia. Org>wiki>K… Kars (eyelet)-vikipedi

Peter F. Sugar(1977). Southeastern Europe Under Ottoman Rule: 1354-1804. University of Washington press p.41. https://en.wikipedia.org>wiki>Administrative division…

Pitcher D. E. (1972). An Historical Geography of the Ottoman Empire: From Earliest Times to the Sixteenth Century Brill Archive pp. 128-129. https://en. https://en.wikipedia.org/wiki/Eyalet.